განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ- ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლიანა კობესაშვილი
წევრ(ებ)ი:
თამრიკო ბასილაია

ნაწილი I. შესავალი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239402623

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	საჩხერის მუნიციპალიტეტი. სოფელი საირხე.
ფაქტობრივი მისამართი	საჩხერის მუნიციპალიტეტი. სოფელი საირხე.
საფოსტო ინდექსი	4000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.cx/wlgDe
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	sairkhe@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577621610

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19/03/2026 წლის ბრძანება MES 9 26 0000336563
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	----------

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება განხორციელდა გეგმიური მონიტორინგის გზით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულების გადაწყვეტილებით უზრუნველყოფდა ბრძანებით განსაზღვრული ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაამუშავა წარმოდგენილი მასალები, გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია და პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები სკოლიდან. წარმოდგენილი და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა შეფასება, რომლის შედეგებიც ასახულია წინამდებარე დასკვნაში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
228	**104**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ასახულ ექსპერტთა მიგნებებთან დაკავშირებით სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლამ 01/05/2026 წლის MES 4 26 0000518304 წერილით, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, წარმოადგინა

არგუმენტირებული წერილობითი პოზიცია რომელიც სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის MES 4 26 0000526099 წერილით ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა განსახილველად. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და დამატებით წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ცენტრში თავდაპირველად წარდგენილ და გამოთხოვილ მასალებში სკოლას არ წარმოუდგენია და რომელიც კონკრეტული ინდიკატორების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს წარმოადგენდა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია ყველა ინდიკატორში დაფიქსირებულ ხარვეზთან მიმართებით, გარდა 1.2.1.3 ინდიკატორში დაფიქსირებული მეორე ხარვეზისა. აღნიშნულ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის პოზიცია, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზი უკავშირდებოდა უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის კორექტირება შემდგომ პერიოდში, კერძოდ 2026 წლის სექტემბერში, ვეღარ განხორციელდება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ■ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	(2)სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთი და იმავე მიზნის ამოცანები განსხვავებულია. ამოცანების ნაწილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიულ მიზნებსაა მიკუთვნებული.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 19.06.2026-06.07.2026 წწ პერიოდში, განახორციელოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რევიზირება, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სტრუქტურის შემუშავება, ასევე სტრატეგიული მიზნების გადახედვა.

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.2.1	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს დოკუმენტები სკოლის არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით (დეტალურად იხ. ინდიკატორის აღწერა).

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

წინა ვიზიტის ფარგლებში პირველ სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია მოიცავს მოსწავლის ინტელექტუალური, პიროვნული და მოქალაქეობრივი განვითარების ძირითად მიმართულებებს: სისტემური ცოდნის მიღებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტაციას, ჯანსაღი და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას რაც სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან - კრიტიკული აზროვნების უნარითა და სისტემური აკადემიური ცოდნით აღჭურვილი, წიგნიერი და პროგრესულ სიახლეთა მიმღები მოქალაქის აღზრდასთან. ხედვა ასახავს თანამედროვე განათლების პრინციპებს: უწყვეტ განვითარებაზე ორიენტაციას, ხარისხიან და

სამართლიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებსა და კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებას. ზემოთთქმულიდან გამომდინარე სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. კერძოდ, მისია ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, სისტემური ცოდნის მიღებაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, ღირებულებებზე დაფუძნებულ აღზრდასა და მაღალი სამოქალაქო ცნობიერების მქონე, ჯანსაღი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რაც ქმნის საფუძველს უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემოსთვის. ხედვა კი ხაზს უსვამს უწყვეტ განვითარებას, სამართლიანობას, მიუკერძოებლობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც აძლიერებს სკოლას, როგორც ინკლუზიურ, განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს. ამრიგად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ 2023 წლის 5 სექტემბერს დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობითი ჯგუფი (დირექტორი, მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე), რომელსაც დაევალა 2023 წლის 30 სექტემბრამდე სკოლის SWOT ანალიზის, სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავება. წარმოდგენილი მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ სკოლის ფილოსოფიის შემუშავებას წინ უძღოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა (წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში). კითხვარის შექმნაში მონაწილეობდნენ მოსწავლეებიც. სკოლამ, შემუშავებული კითხვარი ონლაინ პლატფორმის, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების საშუალებით გაავრცელა მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის. კითხვარი მოიცავდა მნიშვნელოვან საკვლევ საკითხებს, მათ შორის: სკოლის მისიისა და ხედვის განსაზღვრას, სასწავლო გარემოს მახასიათებლებს, რომელიც ხელს შეუწყობს სრულფასოვანი განათლების მიღებას, ასევე სკოლის განვითარების პერსპექტივასა და საზოგადოების წევრთა შესაძლო წვლილს მის განვითარებაში. კითხვარებზე

მიღებული პასუხების შედეგებზე დაყრდნობით სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია. ამრიგად სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ადასტურებს ფილოსფიის ჩამოყალიბებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების ფაქტი.

დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლის ფილოსოფია არ იყო გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო მშობელთა და მოსწავლეთა კრებების ოქმები, რომლითაც დასტურდება სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის ფაქტი. შესაბამისად ექსპერტთა ჯგიფმა ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია მისი სკოლის ვებგვერდზე განთავსებით

ინდიკატორის მითხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება სსიპ - ჯურხა ნადირაძის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ საირხის საჯარო სკოლა

შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს სკოლა.

ინდიკატორის მითხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (07/09/2023წ);
- კითხვარები;
- გამოკითხვის ანგარიში;
- ბრძანება N 2-39 (05/09/ 2023 წ.) ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დოკუმენტი სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობისას ითვალისწინებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, ასევე მათ შეფასებასა და მონიტორინგს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები (მოსწავლეები, დირექცია, მასწავლებლები, მშობლები). მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული დაგეგმვის პირველ ეტაპზე სკოლის პრიორიტეტების დასადგენად ტარდება სასკოლო საზოგადოების აზრისა და დამოკიდებულებების კვლევა (კითხვარების

გამოყენებით). პარალელურად ხორციელდება შიდა და გარე მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი, რაც ქმნის გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლიან ბაზას. ამრიგად, წარმოდგენილ დოკუმენტში სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების მექანიზმები განსაზღვრულია და მოიცავს:

- საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) მონაწილეობას სამუშაო ჯგუფში;
- მათი მოსაზრებების სისტემურ შეგროვებას კითხვარების მეშვეობით;
- სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული გეგმების პროექტების განხილვას დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ;
- შეთანხმებული დოკუმენტების დამტკიცებას სამეურვეო საბჭოს მიერ.

აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილებების სასკოლო საზოგადოების რეალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ადასტურებს, რომ ეს მიდგომა პრაქტიკაშიც გამოიყენება - მაგალითად, პირველ სხდომაზე დაფიქსირებულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის საკითხი განიხილება მომდევნო სხდომაზე, რაც მიუთითებს პროცესის გეგმაზომიერ და თანამიმდევრულ განხორციელებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 11 სექტემბრის N2 სხდომაზე დამტკიცებულია 2023-2030 სასწავლო წლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი. სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, 2023-2030 სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებსა და შესრულების ვადებს. სკოლას აქვს შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მშობელთა ცნობიერების ამაღლება; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიული მიზნები მიემართება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების აღსრულებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა:

- წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის სტრუქტურა არ შეესაბამება მეთოდოლოგიით დადგენილ სტრატეგიული გეგმის სტრუქტურას. მეთოდოლოგიის მიხედვით უნდა იყოს - სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და შესრულების ვადები, ხოლო რეალურად არის - სტრატეგიული მიზნები, მიზნის მიღწევის გზები, განსახორციელებელი/განსხვავებული აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები ან/და სტრუქტურული ერთეულები, შესრულების ვადები.

- სტრატეგიული გეგმის ამოცანები არათანმიმდევრულია და ზოგიერთ შემთხვევაში, მათ ნაცვლად მოცემულია აქტივობები და ყოველდღიური ადმინისტრაციული საკითხები, რაც შეუძლებელს ხდის დადგინდეს სტრატეგიული მიზნის შესრულების ამოცანები.
- პირველი და მესამე სტრატეგიული მიზნის/მიმართულების („სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება“, „ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“) რიგი ამოცანები (“სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა”, “მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება”) იმეორებს მიზნების შინაარსს, ნაცვლად იმისა, რომ განსაზღვრავდეს მათი მიღწევის კონკრეტულ გზებს.
- რიგ სტრატეგიულ მიზნებში/მიმართულებებში (2.1, 4.1, 4.5, 4.6) განსაზღვრული არ არის ამოცანების შესრულების ვადები, რაც არღვევს დაგეგმვის პრინციპს.

ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახალ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობას იწყებს სტრატეგიული გეგმის განხორციელების ბოლო მეშვიდე წელს, რაც მიუთითებს სტრატეგიული დაგეგმვის ციკლურ ხასიათს.

დასკვნის პროექტის მიხედვით :

(1)სკოლა არ იცავს საკუთარ “სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით” განსაზღვრულ სტრატეგიული გეგმის სტრუქტურას.

(2)სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ყველა ამოცანისთვის არ არის განსაზღვრული შესრულების ვადა, სტრატეგიული გეგმის ამოცანები არათანმიმდევრულია, სტრატეგიული მიზნის/მიმართულების ამოცანები რიგ შემთხვევაში იმეორებს მიზნების შინაარსს.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც 19.06.2026-06.07.2026 წწ პერიოდში სკოლა მოახდენს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის რევიზირებას და მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სტრუქტურის შემუშავებას, ასევე სტრატეგიული მიზნების გადახედვას. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება „ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული“ შეიცვალა შეფასებით „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის თავსართიდან იკითხება, დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 10 სექტემბრის N2-35 ბრძანებით, როდესაც ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების უფლებამოსილ ორგანოდ, კანონმდებლობის შესაბამისად ,

მითითებულია სამეურვეო საბჭო. სკოლას შემუშავებული აქვს 2024-2025 და 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, რასაც ასაბუთებს სტრატეგიული მიზნებით/მიმართულებებით განსაზღვრული ამოცანების პრაქტიკული რეალიზების შესაბამისი აქტივობების ერთწლიან პერიოდზე გაწერა.

სკოლის სამოქმედო გეგმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა:

- სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთი და იმავე სტრატეგიული მიზნის ამოცანები განსხვავებულია.
- გარკვეული ამოცანები (მოსწავლეთა ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობა, მოსწავლეთა წახალისება, სკოლის პოპულარიზაცია, სადამრიგებლო და ისგ პროგრამების შემუშავება) სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსხვავებულ სტრატეგიულ მიზნებსაა მიკუთვნებული (მაგ. N1/N6, N2/N7, N1/N2, N1/N2).

დასკვნის პროექტის მიხედვით:

(1)სკოლის 2024-2025 წწ. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785-ე ბრძანებასთან "საჯარო სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების დამტკიცების შესახებ".

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 02.08.2024 წლის MES 0 24 0000938810 წერილი, რომელიც გაგზავნილია რესურსცენტრისთვის და რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, სკოლის სამეურვეო საბჭო მიჩნეულია უფლებამოსილებაშეჩერებულ ორგანოდ და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მინიჭებული აქვს სტატუსი „უფლებამოსილება შეჩერებულია". შესაბამისად, 2024-2025 წლების ერთწლიანი გეგმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცება ექსპერტთა ჯგუფმა აღარ მიიჩნია ხარვეზად.

(2)სტრატეგიულ გეგმასა და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთი და იმავე მიზნის ამოცანები განსხვავებულია. ამოცანების ნაწილი სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში სხვადასხვა სტრატეგიულ მიზნებსაა მიკუთვნებული.

აღნიშნულ ხარვეზთან მიმართებით არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც, 2026 წლის 1 სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით, სკოლა უზრუნველყოფს რევიზირებული შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას. ექსპერტთა ჯგუფმა არ გაითვალისწინა სკოლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზი უკავშირდებოდა უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის კორექტირება შემდგომ პერიოდში კერძოდ კი 2026 წლის სექტემბერში ვეღარ განხორციელდება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმა გაწერილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025 წწ.;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ.;
- მისია, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 (06.09.2024);
- სკოლის შვიწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წწ.;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება N 2-39 (05.09.2023);
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის N1 ოქმი (07.09.2023);
- სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის #11 მუხლით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, რაც ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, თუ რამდენად არის

მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მეთოდოლოგიის დოკუმენტს დანართი N1 სახით წარმოდგენილი აქვს მონიტორინგის ფორმა, რომლის განხილვის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და შეფასება ხორციელდება ისევ სამეურვეო საბჭოს მიერ. ამრიგად, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

სკოლამ ასევე წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადების მექანიზმის დოკუმენტი. დოკუმენტი ადგენს კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებს, მონიტორინგის მკაფიო ვადებს, მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან გზებსა (ციფრული ტექნოლოგიები (Drive)/ტრადიციული საანგარიშგებო შეხვედრები) და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარატიული ანალიზის მომზადების პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტისგან განსხვავებით, სადაც შეფასებაზე პასუხისმგებლობა სამეურვეო საბჭოს ეკისრება, მოცემული დოკუმენტით ეს ფუნქცია დირექტორის ბრძანებით (N2-39, 05.09.2023) შექმნილ სამუშაო ჯგუფსა და სხდომის თავმჯდომარეზეა დელეგირებული.

რჩევა: სასურველია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს აღნიშნული ორი დოკუმენტი, სკოლის არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დირექტორის ანგარიში, რომელშიც აღწერილია სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. .ამასთან, სკოლის მიერ შემუშავებული არცერთი დოკუმენტი არ განსაზღვრავს მონიტორინგის განხორციელებას დირექტორის მიერ. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) მიერ შევსებული კითხარები, როგორც სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინების მტკიცებულება.

ხარვეზი: სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში გაკეთებულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედით არაუფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 02.08.2024 წლის MES 0 24 0000938810 წერილი, რომელიც გაგზავნილია რესურსცენტრისთვის და რომლითაც დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, სკოლის სამეურვეო საბჭო მიჩნეულია უფლებამოსილებაშეჩერებულ ორგანოდ

და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) მინიჭებული აქვს სტატუსი „უფლებამოსილება შეჩერებულია“. შესაბამისად, 2024-2025 წლების ერთწლიანი გეგმის ანგარიშის მომზადება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ექსპერტთა ჯგუფმა აღარ მიიჩნია ხარვეზად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება სამოქმედო გეგმის განხორციელების საჯაროობა. ამასთან, ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, სადაც სკოლას აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის განთავსების ვალდებულება. აღნიშნული დოკუმენტი ვებგვერდზე განთავსებული არ აღმოჩნდა.

დასკვნის პროექტის მიხედვით, სკოლას არ ჰქონდა უზრუნველყოფილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის საჯაროობა. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ დამატებით წარმოადგინა აღნიშნული ანგარიშის სკოლის ვებგვერდზე განთავსების დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ შესაბამისი ბმული, რითაც დადასტურდა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაზე მუშაობის პერიოდში სკოლამ უზრუნველყო ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გასაჯაროება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორის შეფასება - „ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული“ შეცვალა შეფასებით: „ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია“.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სამოქმედო გეგმის ანგარიში ასახავს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკას. 2024-2025 ს/წ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან იკვეთება, რომ საანგარიშო პერიოდში ნაწილობრივ შესრულებული ან არ/ვერ შესრულებელი აქტივობების განხორციელება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაშია გათვალისწინებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამომქედო გეგმის ანგარიში 2024-2025 წწ.;
- სტრატეტეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- მონიტორინგის ჩეკლისტის დოკუმენტი;
- მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფის კითხვარი;
- შეფასების სისტემის კითხვარი მოსწავლისა და მასწავლებლისთვის;
- ინკლუზიური განათლების განვითარების კითხვარი მშობლისა და მასწავლებლისთვის;
- ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შემუშავებული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის კითხვარები;
- სკოლის ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  - ☐ შეესაბამება
  - ☐მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☒არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი 08.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: